

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ  
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება - პოლიტიკის მეცნიერებები

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი

3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

სამაგისტრო პროგრამა შედგება სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 (ECTS) კრედიტს, აქედან სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კომპონენტს ეთმობა 48 კრედიტი, სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს - 42 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტი.

4. სწავლების ენა - ქართული

5. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები

- გურამ აბესაძე – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
- ელგუჯა ქავთარაძე - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი

6. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ნებისმიერი სპეციალობით

- საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგები
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში (სასპეციალიზაციო საგანი - შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში) (საკითხები იხ. [http://sou.edu.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=371&info\\_id=860](http://sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=371&info_id=860))
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები

## 7. პროგრამის მიზანი

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, მოამზადოს მაღაკვალიფიციური და კვლევითი უნარის მქონე კომპეტენტური კადრები, რომლებიც სიტუაციურად გაიაზრებენ აფხაზეთის რეგიონალური განვითარების, პოლიტიკური კონფლიქტების წარმოშობისა და ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში მისი რეგულირების, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს გლობალურ სივრცეში თვითდამკვიდრების მოდელსა და პარადიგმებს; სპეციფიკიდან გამომდინარე არსებითი ყურადღება მიექცევა აფხაზეთში არსებული პოლიტიკური სიტუაციის ანალიზსა და ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში მისი ინტეგრაციის პროცესების შემეცნებასა და კვლევას; გლობალური და სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე ასპექტები განხილული იქნება ქართულ-აფხაზეთური ურთიერთობების გაღრმავებისა და კრიზისულ სიტუაციებში რაციონალური და პრაგმატული გადაწყვეტილებების მიღების საფუძველზე.

პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრატურა ამზადებს კვალიფიციურ და კვლევითი უნარის მქონე პოლიტოლოგებს შედარებითი პოლიტიკის, პოლიტიკური კონფლიქტებისა და კრიზისების მართვის სპეციალობით; გათვალისწინებულია პოლიტიკური ანალიზისა და მოვლენების კრიტიკულად შეფასების, პოლიტიკური პროცესების მართვის უნარის მქონე კომპეტენტური კადრების მომზადება; იგი ითვალისწინებს ახალი მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის თავისებურებების, ევროპული ინტეგრაციის, თანამედროვე პოლიტიკური პროცესის, გლობალიზაციის, ტრანზიტული საზოგადოებების, სახელმწიფოთაშორისო თანამედროვე ურთიერთობების ტიპებისა და პრინციპების შესწავლას; განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა გლობალური დემოკრატიული პროცესების, დემოკრატიული ტრანზიტის, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის გააზრებას; მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა პოლიტიკური განვითარების კრიზისების წარმოშობისა და მართვის საკითხებს; პრობლემები განხილული იქნება კონკრეტულ-სიტუაციური ანალიზის, პოლიტიკური რისკების, ექსტრემალურ სიტუაციებში პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებისა და მოქმედების, სეპარატიზმის წარმოშობის თავისებურებებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხების გააზრების მიმართულებით; თემატიკა აგებულია ქართული სახელმწიფოს განვითარების თავისებურებების, პრიორიტეტებისა და შედარებითი ანალიზისა და კვლევების საფუძველზე, რომელიც თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიციის მნიშვნელოვანი პირობაა.

პროგრამის დამახასიათებელი სპეციფიკა ის არის, რომ ძირითადი ადგილი ეთმობა საქართველოს სახელმწიფოს ადგილს და როლს საერთაშორისო ურთიერთობებში, მისი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გააზრებას, ქართული სახელმწიფოთმშენებლობის მიკრო და მაკრო პოლიტიკურ ფაქტორებს; მნიშვნელოვნად არის გააზრებული საქართველოში დემოკრატიული ტრანზიტის თავისებურებები ეროვნული თვითყოფადობის გათვალისწინებით.

სამაგისტრო პროგრამა შედგენილია ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში საქართველოსა და ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად წარმოდგენილი პროექტის - „უმალესი სასწავლო პროგრამის შექმნა მშვიდობის კვლევის დარგში საქართველოში“ - განხორციელების მიზნით. პროგრამაში მათი რეკომენდაციებისა და რჩევების საფუძველზე წარმოდგენილია რამდენიმე სავალდებულო და არჩევითი კურსი; შეფასებული და მოწონებული იქნა პროგრამის სტრუქტურა და სალექციო თემატიკა; მათთან თანამშრომლობის პირობებში პროგრამის განხორციელებაზე მიმდინარეობს სისტემატიური მონიტორინგი.

## 8. სწავლის შედეგი

### *დარგობრივი კომპეტენციები*

#### **ცოდნა და გაცნობიერება – იცის:**

- შედარებითი პოლიტიკის პრობლემების, თანამედროვე პოლიტიკური პროცესისა და პოლიტიკური სისტემების სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზი და კვლევა;
- ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობისა და თანამშრომლობის პრინციპების, ტიპებისა და მოდელების ჩამოყალიბება;
- თანამედროვე პოლიტიკური პროცესის სტრუქტურის, ტიპებისა და აქტორების შედარებითი ანალიზი;
- ქართული სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური ორიენტაციები, ღირებულებითი პრიორიტეტები და გლობალურ სივრცეში თვითდამკვიდრების პარადიგმები;
- ახალი დემოკრატიის ქვეყნებში პოლიტიკური ტრანზიციისა და პოლიტიკური სისტემების სტრუქტურულ-ფუნქციონალური თავისებურებების ჩამოყალიბება;
- პოლიტიკური ტრანზიციის პირობებში პოლიტიკური რეჟიმისა და პოლიტიკური სივრცის სტაბილურობის ინსტიტუციური და კულტურულ-ღირებულებითი ფაქტორები;
- ქართულ პოლიტიკურ ველზე ინსტიტუციური წესრიგის თავისებურებები, კულტურულ-ღირებულებითი ორიენტაციები, პოლიტიკური რეჟიმის ლეგიტიმურობის პარადიგმები, კონფლიქტური და კრიზისული სიტუაციების წარმოშობის მიზეზები და პირობები;

- ქართული პოლიტიკური სივრცის თვითმყოფადი განვითარების პრიორიტეტები და პოლიტიკური ტრანზიციის აქტორთა ტიპები;
- ახალი დემოკრატიის ქვეყნებში სახელმწიფოთმშენებლობის პრიორიტეტული მიმართულებები;
- გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში სამოქალაქო კულტურისა და დემოკრატიის სტაბილურობის პარადიგმები.

### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – შეუძლია:**

- პოლიტიკის ანალიზის მეთოდების რაციონალური შერჩევა და დაგეგმვა, პოლიტიკური სივრცისა და პოლიტიკური სისტემების სიტუაციური ანალიზი, მონიტორინგი, პოლიტიკურ მოვლენათა პროგნოზირება;
- პოლიტიკური ტრანზიტის პირობებში პოლიტიკური სცენარებისა და მოდელების შემუშავება, სიტუაციის შესაბამისად რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება;
- პოლიტიკური პროცესის რაციონალური შეფასება, პოლიტიკური რისკების გათვალისწინება;
- კონფლიქტურ და კრიზისულ სიტუაციებში პრაგმატული გადაწყვეტილებების მიღება;
- ქართული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გააზრება და პოლიტიკურ სივრცეში რაციონალური ადაპტირება.

### **ზოგადი კომპეტენციები**

#### **დასკვნის უნარი – აქვს:**

- თანამედროვე პოლიტიკური პროცესის ემპირიულ- სიტუაციური ანალიზის უნარი;
- ახალი დემოკრატიის ქვეყნებში პოლიტიკური რეჟიმების დემოკრატიული ტრანსფორმაციის ძირითადი პარადიგმების გააზრებისა და კვლევის უნარი;
- ქართული სახელმწიფოს თანამედროვე გლობალურ სივრცეში თვითდამკვიდრების პრიორიტეტულ მიმართულებათა კვლევის უნარი;
- პოლიტიკურ ველზე პოლიტიკურ მოვლენათა სინთეზირება, აქტორთა ტიპოლოგიზაცია და პოლიტიკურ ძალთა გადაჯგუფების შესაძლო ვარიანტების გააზრების უნარი;
- სიტუაციების შესაბამისად პრაგმატული დასკვნებისა და რეკომენდაციების არგუმენტირებულად გადმოცემის უნარი.

### **კომუნიკაციის უნარი - შეუძლია:**

- ეფექტიანად და სიტუაციის შესაბამისად წარმართოს დიალოგი, პოლიტიკური დისკუსია და აკადემიურ დონეზე დაიცვას თავისი არგუმენტები;
- პროფესიონალურად წარუდგინოს აკადემიურ წრეებს თავისი დასკვნები და მოსაზრებები ქართულ და უცხოურ ენებზე;
- გამოავლინოს კვლევითი უნარი და საჯაროდ დაიცვას თავისი თვალსაზრისი და არგუმენტები, გამართოს დიალოგი და დისკუსია პრობლემურ საკითხებზე;
- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, ინფორმაციის მოპოვება და ფართო აუდიტორიისათვის მისი მიწოდება;
- სოციალურ კომუნიკაცია და მის პოლიტიკურ თვითდამკვიდრებაში აქტიური მონაწილეობა.

### **სწავლის უნარი - აქვს:**

- დამოუკიდებლად და შემოქმედებითად წარმართოს თავისი სწავლისა და კვლევის პრობლემები;
- პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად შეარჩიოს პრიორიტეტები, დაგეგმოს სწავლისა და კვლევითი მუშაობის პროცესი;
- გაიაზროს სწავლის პროცესის თავისებურებები, კვლევითი თემატიკა და ძირითადი მიმართულებები;
- სწორად შეარჩიოს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის გასაგრძელებლად ინტერესების სფერო და თემატიკა.

### **ღირებულებები - აქვს უნარი:**

- პოლიტიკური ღირებულებებისადმი თავისი და სხვათა დამოკიდებულების რაციონალური შეფასების უნარი;
- პოლიტიკური ტრანზიციის პირობებში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებაში თავისი წვლილის შეტანის უნარი;
- გარდამავალ პოლიტიკურ სივრცეში ღირებულებითი ტრანსფორმაციის აუცილებლობისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბების გააზრების უნარი;
- რაციონალური დამოკიდებულება გამოიჩინოს ქართული პოლიტიკური ღირებულებებისადმი და სწორად შეუხამოს იგი გლობალურ დემოკრატიულ ცვლილებებს.

## 9. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით				ლექტორი	წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV		
<b>სავალდებულო კურსები/მოდულები - 78 კრედიტი</b>											
1.	შედარებითი პოლიტიკური ანალიზი	POLS M201	6	50	100	6				გურამ აბესაძე სსუ პროფესორი	არ გააჩნია
2.	პოლიტიკური სისტემების შედარებითი ანალიზი	POLS M202	6	50	100	6				ავთანდილ ტუკვაძე მოწვეული, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი	არ გააჩნია
3.	საერთაშორისო პოლიტიკა: მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის მოდელები	POLS M203	6	50	100		6			გვანცა აბდლაძე სსუ ასოცირებული პროფესორი	POLS M201
4.	საქართველო და რეგიონული მშვიდობა	POLS M204	6	50	100	6				ელგუჯა ქავთარაძე სსუ ასოცირებული პროფესორი	არ გააჩნია
5.	თანამედროვე პოლიკური პროცესი: სტრუქტურა, ტრანზიცია, აქტორები	POLS M206	6	50	100		6			გურამ აბესაძე სსუ პროფესორი	POLS M201
6.	პოლიტიკური კონფლიქტების მართვა და რეგულირება	POLS M207	6	50	100	6				ელგუჯა ქავთარაძე სსუ ასოცირებული პროფესორი	არ გააჩნია
7.	რუსეთი და პოსტსაბჭოთა ქვეყნები	POLS M208	6	50	100		6			გვანცა აბდლაძე სსუ ასოცირებული პროფესორი	POLS M201
8.	<b>პროფესიული პრაქტიკა</b>	POLS M220	6	50	100			6		<i>I - II სემესტრის სავალდებულო საგნები</i>	
9.	<b>სამაგისტრო ნაშრომი</b>	POLS M221	30	65	685				30	<i>პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები</i>	

<b>არჩევითი სასწავლო კურსები - 42 კრედიტი</b> (სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან და მითითებული კრედიტების შესაბამისად)						<b>6</b>	<b>12</b>	<b>24</b>			
1.	ინგლისური ენა B2 დონე	ENGL M 201	<b>6</b>	<i>50</i>	<i>100</i>					სსუ პროფესორი <b>ე. კილანავა</b>	არ გააჩნია
2.	დარგობრივი ინგლისური ენა	ENGL M 202	<b>6</b>	<i>50</i>	<i>100</i>					სსუ პროფესორი <b>ე. კილანავა</b>	არ გააჩნია
3.	შედარებითი ევროპული პოლიტიკა	POLS M210	<b>3</b>	<i>35</i>	<i>40</i>					<b>გვანცა აბდლაძე</b> სსუ ასოცირებული პროფესორი,	<i>POLS M206</i> <i>POLS M202</i>
4.	ქართული პოლიტიკა შედარებით კონტექსტში	POLS M212	<b>6</b>	<i>50</i>	<i>100</i>					<b>ალექსანდრე წურწუშია</b> მოწვეული, პოლიტიკის დოქტორი	<i>POLS M201</i> <i>POLS M204</i>
5.	პოლიტიკური კულტურების შედარებითი ანალიზი	POLS M214	<b>6</b>	<i>50</i>	<i>100</i>					<b>გურამ აბესაძე</b> სსუ პროფესორი	<i>POLS M202</i> <i>POLS M201</i>
6.	მსოფლიო მედია	POLS M215	<b>3</b>	<i>35</i>	<i>40</i>					<b>მკა დოლიძე</b> ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი	<i>POLS M201</i> <i>POLS M206</i>
7.	გლობალიზაცია და სუვერენიტეტი	POLS M209	<b>3</b>	<i>35</i>	<i>40</i>					<b>მანანა გაგოშიძე</b> სსუ ასისტენტ-პროფესორი	<i>POLS M206</i> <i>POLS M202</i>
8.	ინტერესთა ჯგუფები და სოციალური მოძრაობები საქართველოში	POLS M211	<b>6</b>	<i>50</i>	<i>100</i>					<b>კობა ნონიაშვილი</b> სსუ ასოცირებული პროფესორი,	<i>POLS M201</i> <i>POLS M204</i>
9.	სახელმწიფოთმშენებლობა ახალ დემოკრატიებში	POLS M213	<b>3</b>	<i>35</i>	<i>40</i>					<b>ალექსანდრე წურწუშია</b> მოწვეული, პოლიტიკის დოქტორი	<i>POLS M202</i> <i>POLS M201</i>
10.	დემოკრატიული ტრანზიციის საქართველოში	POLS M216	<b>3</b>	<i>35</i>	<i>40</i>					<b>გურამ აბესაძე</b> სსუ პროფესორი	<i>POLS M202</i> <i>POLS M201</i>
11.	კავკასიის შედარებითი პოლიტიკა	POLS M217	<b>6</b>	<i>50</i>	<i>100</i>					<b>ელგუჯა ქავთარაძე</b> სსუ ასოცირებული პროფესორი	<i>POLS M201</i> <i>POLS M206</i>
12.	პოლიტიკური ელიტები: შედარებითი ანალიზი	POLS M218	<b>6</b>	<i>50</i>	<i>100</i>					<b>ავთანდილ ტუცვაძე</b> მოწვეული, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი	<i>POLS M201</i> <i>POLS M206</i>
13.	არჩევნები და საარჩევნო კომპანიის მენეჯმენტი	POLS M219	<b>3</b>	<i>35</i>	<i>40</i>					<b>მკა დოლიძე</b> ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი	<i>POLS M201</i> <i>POLS M206</i>
14.	იდეოლოგია და ქართული სახელმწიფოებრიობა	POLS M223	<b>3</b>	<i>35</i>	<i>40</i>					<b>გურამ აბესაძე</b> სსუ პროფესორი	<i>POLS M201</i>
15.	სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი	POLS M224	<b>6</b>	<i>50</i>	<i>100</i>					<b>ბელა კოპალიანი</b> მოწვეული, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი	<i>POLS M201</i>

16.	სტრატეგიული მშვიდობის მშენებლობა - პრაქტიკული კურსი	POLS M222	6	50	100					დალი ხომერიკი მოწვეული, პროგრამების ექსპერტი	POLS M201
<b>ს უ ლ - 120 კრედიტი</b>						<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>		

- ცვლილებები - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (# 05/01-332, 10.03.2017)